

საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციები თავდაცვისა და უშიშროების სფეროში, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები

ფაჩოშვილი კობა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი
<https://doi.org/10.52340/idw.2025.88>

აბსტრაქტი: ნაშრომში განხილულია ქვეყნის ძირითად კანონში 2017 წლის 13 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებები, პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის შეკვეცილი უფლებამოსილებები, წარმოქმნილი პრობლემები, მათი მოგვარების გზები და მოსალოდნელი შედეგები.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ისეთ კომპეტენციებზე როგორებიცაა საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება და თავდაცვითი ძალების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება. ზემოხსენებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად თავდაცვითი ძალების გამოყენებაზე გადაწყვეტილები მიღება საერთოდ გამოირიცხა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ჩარჩოებიდან რაც შეეხება კომპეტენციებს საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების მიმართულებით რეალიზება მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმების შემდეგადაა შესაძლებელი.

პრობლემური საკითხების შესწავლა, ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნები იძლევა პასუხს კითხვაზე შესაძლებელია თუ არა საპარლამენტო მმართველობის პირობებში პრეზიდენტის მწირი კომპეტენციების გათვალისწინებით სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, საჭიროების შემთხვევაში იღებდეს გადაწყვეტილებას თავდაცვითი ძალების გამოყენების თაობაზე, ამასთან ერთად მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, დამოუკიდებლად აცხადებდეს საგანგებო და საომარი მდგომარეობას.

საკვანძო სიტყვები: თავდაცვა, უშიშროება, თავდაცვითი ძალები, საგანგებო მდგომარეობა, საომარი მდგომარეობა

1. საქართველოს პრეზიდენტის, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის კომპეტენციები კონსტიტუციური რეფორმის კვალდაკვალ

საქართველოს ძირითად კანონში 2017 წლის 13 ოქტომბერის განხორციელებული ცვლილებებით მნიშვნელოვნად შეიკვცა საქართველოს პრეზიდენტის, როგორც სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილებები სახელმწიფო უშიშროებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. თუ რეფორმამდე არსებული ძირითადი კანონის 73-ე მუხლში არსებული საკანონმდებლო რეგულაციებით ხსენებულ საკითხებზე პრეზიდენტი გამოსცემდა სამართლებრივ აქტებს და 48 საათის განმავლობაში პარლამენტში შეჰქონდა დასამტკიცებლად. საკანონმდებლო ცვლილებათა ახალი რედაქციით პრეზიდენტი აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას მხოლოდ პრემიერ-მინისტრის წარდგინებით იღებს.

საკონსტიტუციო ცვლილებათა 71-ე მუხლის პირველი პუნქტით, „საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ან მისი უშუალო

საფრთხის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.“ ამავე მუხლის მეორე პუნქტით, „ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხის, ეკოლოგიური კატასტროფების, და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად.“

საინტერესო და მნიშვნელოვანია ასევე, რომ საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვითი ძალების გამოყენების უფლებამოსილება უზენაესი კანონის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის ახალი რედაქციით პრემიერ-მინისტრის საშინაო კომპეტენციებში გადავიდა. „გადაწყვეტილებას, საომარი მდგომარეობის დროს, თავდაცვითი ძალების გამოყენების შესახებ იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს პარლამენტის დამტკიცებას.“

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებათა ავტორები უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილებათა შეზღუდვის საფუძველად იშველიებდნენ სახელმწიფო მმართველობის ფორმის ცვლილებას, საპარლამენტო მმართველობის შემოღებას მთავარი პოლიტიკურ-სამართლებრივი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ ფართო უფლებების მქონე პრეზიდენტს, მთავარსარდალს გაუჩნდებოდა მეტი პრეტენზია და სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში უპირატესობის მოპოვების სურვილი, რაც გარკვეულ საფრთხეს შექმნიდა ავტორიტარიზმის და ხელისუფლების მიტაცების მიმართულებით.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია სამეცნიერო სტასტიის ამ ნაწილში, გავეცნოთ სახელმწიფო მმართველობის ფორმით საქართველოსთან მაქსიმალურად ახლოს მდგომ საზღვარგარეთის ქვეყნებში, როგორი ხარისხის კომპეტენციები გააჩნიათ პრეზიდენტებს, უმაღლეს მთავარსარდლებს საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების ან თავდაცვითი ძალების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

განვიხილავ რამოდენიმე მათგანს როგორც საპარლამენტო, აგრეთვე ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის, უცხოეთის ქვეყნებიდან.

2. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი უცხოეთის ქვეყნებთან

საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების და თავდაცვითი ძალების გამოყენების კომპეტენციებს განვიხილავ იტალიის, უნგრეთისა და უკრაინის საპარლამენტო და ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის სახელმწიფოთა მაგალითებზე.

2.1. იტალიის საპარლამენტო მმართველობის დემოკრატიულ რესპუბლიკა სამხრეთ-დასავლეთი ევროპის ნაწილში მდებარეობს. რესპუბლიკის პრეზიდენტს სამთავრობო ძალაუფლება არ გააჩნია, სახელმწიფო საქმეთა მართვაში არ აქტიურობს და საპარლამენტო მოდელისათვის დამახასიათებელი მწირი უფლებამოსილებებით სარგებლობს, როგორც საშინაო ასევე საგარეო მიმართულებით. მისი ძალაუფლება მეტ-ნაკლებად ვლინდება ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის პერიოდში, როდესაც კონსტიტუციური ხელისუფლება და

პოლიტიკური ძალები შეუთანხმებლობის გამო ვერ მართავენ ქვეყანას. ასეთ შემთხვევაში „პრეზიდენტი მოწოდებულია თავის თავზე აიღოს არბიტრის როლი და არ დაუშვას პოლიტიკური კრიზისის გამძაფრება. (მელქაძე ო., 2008, გვ.215) მიუხედავად ზემოაღნიშნულისა პრეზიდენტის როგორც სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალების მეთაურის კომპეტენციებშია საომარი მდგომარეობის გამოცხადება მთავრობისგან წინასწარი ნებართვის მიღების გარეშე. ქვეყნის ძირითადი კანონით უმაღლესი მთავარსარდალი ამ უფლებამოსილებას საკანონმდებლო ორგანოს თანხმობით ახორციელებს.

იტალიის კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მას, როგორც შეიარაღებული ძალების მეთაურს, საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით შეუძლია ომის გამოცხადება. პრეზიდენტი არის „შეიარაღებული ძალების მეთაური, რომელიც ხელმძღვანელობს კანონით დადგენილ თავდაცვის ძალების უმაღლეს საბჭოს და პარლამენტის გადაწყვეტილებით აცხადებს ომს.“

2.2. უნგრეთის - საპარლამენტო მმართველობის დემოკრატიული რესპუბლიკა, ცენტრალურ ევროპაში მდებარეობს. აღმასრულებელ ხელისუფლებას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და უფლებამოსილებათა ძირითადი ნაწილიც მის ხელშია თავმოყრილი თუმცა პრეზიდენტი, როგორც შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

უნგრეთის კონსტიტუციის 30.1 პირველი პუნქტის თანახმად, „თუ სახელმწიფო კრებას არ აქვს მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.“ როგორც ჩანს იმ შემთხვევაში თუ საკანონმდებლო ორგანოს მოკლებულია შესაძლებლობა მიიღოს გადაწყვეტილება თავდაცვითი ძალების გამოყენების თაობაზე უნგრეთის პრეზიდენტი და არა აღმასრულებელი ხელისუფლება იღებს გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულ საკითხზე.

2.3. უკრაინის შერეული მმართველობის დემორატიულ სახელმწიფოში, პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაურისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მაღალი სტატუსის მატარებელი ინსტიტუტი გადაწყვეტილებას იღებს ქვეყანაში ომის გამოცხადების ან შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ, მთავრობასთან შეთანხმების, თანახელმოწერის გარეშე და შეაქვს ეს გადაწყვეტილება უკრაინის საკანონმდებლო ორგანოში დასამტკიცებლად.

უკრაინის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის 106-ე მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, უკრაინის პრეზიდენტს „უკრაინის უმაღლეს რადაში შეაქვს წინადადება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და უკრაინის მიმართ შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.“

ამდენად, როგორც განხილული მაგალითები ცხადყოფს მიუხედავად შეკვეცილი კომპეტენციებისა როგორც საპარლამენტო ასევე შერეული მოდელის უცხოეთის ქვეყნებში პრეზიდენტები, როგორც სახელმწიფოს მეთაურისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მაღალი კონსტიტუციური სტატუსის მატარებელი პირები მთავრობის ნებართვის ან წინასწარი შეთანხმების გარეშე იღებენ გადაწყვეტილებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და თავდაცვითი ძალების გამოყენების თაობაზე.

3. საკონსტიტუციო რეფორმა და არსებული პრობლემური საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

„საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის, ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობებისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.“

ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი „მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხის, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის, ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან რომელიმე ნაწილში.“

იმის გარდა, რომ პრეზიდენტი ზემოაღნიშნულ საკითხზე სამართლებრივ აქტს მხოლოდ პრემიერ-მინისტრის წარდგინების საფუძველზე გამოსცემს, თანახელმოწერის ზოგადი წესიდან გამომდინარე კონსტიტუციის 53-ე მუხლის მიხედვით „საომარი ან საგანგებო“ მდგომარეობის გამოცხადების ან გაუქმების ასევე „ზავის“ დადების შესახებ პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები პრემიერ-მინისტრის მიერ თანახელმოწერას საჭიროებენ.

მართალია აღნიშნული საკითხები სახელმწიფოს უპირველესი ინტერესის საგანია და ბუნებრივია ის მხარდაჭერილი უნდა იყოს მთავრობისგან, რაც ვფიქრობ იმაშიც გამოიხატება, რომ პრეზიდენტი სამართლებრივ აქტს მხოლოდ პრემიერ-მინისტრის „წარდგინების“ შემდეგ გამოსცემს, მაგრამ მისი თანახელმოწერის რანგში აყვანა და პრემიერ-მინისტრის „წარდგინების“ საფუძველზე გამოცემულ სამართლებრივ აქტზე პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერა, ვფიქრობ, ხარვეზების შემცველია, რადგან „საგანგებო და საომარი“ მდგომარეობის გამოცხადება და „ზავის“ დადება ისეთი განსაკუთრებული და გადამწყვეტი მომენტებია სახელმწიფოში, რომელიც საჭიროებს წინამძღოლის, ლიდერის გაძღოლას. ლიდერის სტატუსი კი კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებიდან გამომდინარე, უფრო სახელმწიფოს მეთაურს და თავდაცვითი ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, პრეზიდენტს ეკუთვნის, ვიდრე ქვეყანაში ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, პრეზიდენტს ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. „სპორტული ტერმინოლოგია, რომ ვიხმაროთ, ამ დროს პრეზიდენტი უფრო სახელმწიფოს „კაპიტანია,“ ვიდრე „არბიტრი“ ასეთი სახის საკანონმდებლო რეგულაციებთ კი გაურკვეველი ხდება და კითხვებს ბადებს ლოგიკური, სისტემური კავშირი პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდალის სტატუსსა და ამ სფეროში მის კონკრეტულ უფლებამოსილებებს შორის. აშკარაა, რომ პრეზიდენტი არ ფლობს ამ სტატუსის ჯეროვანად განხორციელების საჭირო და საკმარის უფლებამოსილებებს.“ (დემეტრაშვილი ა, 2013, გვ.34)

ამასთან ერთად, ლოგიკურია, რომ პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებზე პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერის წინსწრება ურთიერთშეთანხმებაა, ანუ ჯერ უნდა მოხდეს კონკრეტულ საკითხზე შეთანხმება, შემდეგ უნდა გამოსცეს პრეზიდენტმა სამართლებრივი აქტი და პრემიერ-მინისტრმა მოახდინოს მისი თანახელმოწერა, რაც ამ აქტის ძალაში შესვლის წინაპირობაცაა მიმაჩნია, რომ საკითხის ასე დაყენების შემთხვევაში, საკანონმდებლო სიახლე უნდა იძლეოდეს იმის ახსნას თუ რა შეიძლება მოჰყვეს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების

ან ზავის დადების თაობაზე პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის შეთანხმების მიუღწევლობას. ასეთი შინაარსის კონსტიტუციური ნორმები შესაძლებელია გახდეს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის მწვავე დაპირისპირების საგანი და უარყოფითი შედეგები მოუტანოს ქვეყანას.

ამავე თემას მინდა დავუკავშირო აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციის 72-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, „გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ.“ როგორც ჩანს, ახალი საკანონმდებლო რეგულაციებით თავდაცვის ძალების გამოყენების თაობაზე პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არ მოითხოვს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის მიერ დამტკიცებას. არადა სახელმწიფოსთვის თავდაცვითი ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უფრო მეტად სერიოზულია, ვიდრე საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მისი დამტკიცება აბსოლიტურად აუცილებელია.

ამასთან ერთად, მიუღებელია ის ფაქტი, რომ საომარი მდგომარეობის დროს, თავდაცვითი ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას, დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად იღებდეს არა ამავე თავდაცვითი ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, სახელმწიფოს მეთაური, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტი რომლის დარღვევაც შესაძლოა საფრთხის ქვეს იყოს არამედ სახელისუფლების ერთ-ერთი შტოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური პრემიერ-მინისტრი, როგორც ქვეყნის თავდაცვითი ძალების უმაღლესი მთავარსარდალის, პრეზიდენტის აგრეთვე საკანონმდებლო ორგანოს როლის სრული იგნორირების ფონზე. შესაბამისად, „საგანგებო მდგომარეობის დროს სამხედრო ძალის გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ეროვნული თავდაცვის საბჭოს თანხმობის საფუძველზე ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.“ (საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია, საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, 2010, გვ.58).

დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში წარმოდგენილი საკვლევი საკითხის შესწავლის და საერთო ანალიზის შემდეგ, შესაძლებელია დავადგინოთ შემდეგი:

საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსიდან გამომდინარე მიზანშეწონილი და აუცილებელიცაა პრეზიდენტი როგორც თავდაცვითი ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ფლობდეს საომარი მდგომარეობისას თავდაცვითი ძალების გამოყენების უფლებამოსილებას, ხოლო საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და ზავის დადების შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილების შეთანხმება ხდებოდეს არა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან არამედ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსთან, საქართველოს პარლამენტთან.

სამეცნიერო სტატიაში დასმული პრობლემური საკითხების გადაჭრისა და სრულყოფილი მოწესრიგების მიზნით კანონმდებლებს რეკომენდაციების სახით ვთავაზობ ქვეყნის ძირითად კანონში, საქართველოს კონსტიტუციაში გატარდეს შემდეგი სახის ცვლილებები :

კონსტიტუციის 72-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ ეროვნული თავდაცვის საბჭოს თანხმობის საფუძველზე იღებს

საქართველოს პრეზიდენტი. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. პარლამენტის გადაწყვეტილება მიიღება მისი სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერს საპარლამენტო ოპოზიციის უმრავლესობა“ (საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია, საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, 2010, გვ.50)

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ საქართველოს კონსტიტუციაში წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება გამოიწვევს პრეზიდენტის ინსტიტუტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების სამართლიან გადანაწილებას მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსისა და უცხოეთის სახელმწიფოთა გამოცდილების შესაბამისად, დაცული იქნება, როგორც საპარლამენტო მმართველობის პრინციპები, ასევე ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა.

ბიბლიოგრაფია

1. დემეტრაშვილი ა., მმართველობის ახალი სისტემის თავისებურებანი საქართველოში სუპერ-საპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, სტატიების კრებული, ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.
2. მელქაძე ო., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, გამომცემლობა „ინოვაცია“ თბილისი, 2008
3. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია, საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, თბილისი, 2010. http://iccn.ge/index.php?article_id=463&clang=0

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია ს.ს.ი.პ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“
2. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი, თბილისი, 13.10.2017 ს.ს.ი.პ საქართველოს „საკანონმდებლო მაცნე“

ინტერნეტ რესურსები

1. Копституция Итальянской Республики <http://lawersssu.narod.ru/subjects/constzs/Italy.htm>
2. Основпой Закон Веприи [https:// legalns.com/download/booKs/cons/greece.pdf](https://legalns.com/download/booKs/cons/greece.pdf)
3. Конституция Украипи <http://gbc.ge/index.phpmhome&newsidlangeo>

Competences of the President of Georgia in the Field of Defense and Security: Problems and Future Perspectives

Pachoshvili Koba

Caucasus International University, Tbilisi

Abstract

This paper examines the amendments made to the country's main law on October 13, 2017, the limited powers of the President as the Commander-in-Chief, the problems that have arisen, ways to address them, and the expected outcomes. Particular attention is paid to the competences of the Commander-in-Chief of the Armed Forces, such as declaring a state of emergency or martial law and making decisions on the use of defense forces. As a result of the aforementioned constitutional amendments, the authority to make decisions on the use of

defense forces has been entirely removed from the President's powers, while the exercise of competences related to declaring a state of emergency or martial law is only possible in coordination with the executive branch.

The study, analysis, and reasoned conclusions of the problematic issues provide an answer to the question of whether, under a parliamentary system and given the President's limited powers, the Head of State and Commander-in-Chief of the Armed Forces can, if necessary, make decisions regarding the use of defense forces and independently declare a state of emergency or martial law without coordination with the government.

Keywords: *defense, security, defense forces, state of emergency, martial law*